



გაზეთი გაეოღის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამტრედიის

N18 (9162)

30 ივნისი. 2015 წელი

ფასი 50 თეთრი

ძლიერი ტყედი საბრძოლველი



3



4

გულთბილი უნაპირა
ჩემოღონთა

გამარჯვებული
კონკურსანტების
ვინაობა ცნობილია

2

“სექტემბერში პენსიაზე
10 ლარი აღარ დაგეგმებათო”

სტიქიასთან დაკავშირებით რაიონს ჯერ
მნიშვნელოვანი ნაბიჯი არ გადაუდგამს

2

5 “თუ ხაყუყუაში ან მუკუაით. მუ და გია ცყლალ ლავითაჲანაჲუბო”

ქვემოქმედება ჩინიგზერებისთვის
და ახა მახყო
მათთვის

4

ნახმაყუბუბი საგონრო
თესციუარის შუბრუგ

9

ქამი ფიქრისა და განსჯისა



6

წითლე შედეგი მოგოფინს ძმწითლებს



მონინაოდრეკე აჩის იბისთვის,
ხომ შუბონბრეს
საყოთაჩი თაურარება

“მადლებს ვკვებავთ და ქრისტიანი ქალი როგორ მოვკლათ შიმშილით?!”

მედიკალიზებული ცეცხლი საბავშვო

წვიმა. ქალაქში დიდიდანვე მომრავლებულიყვნენ ახალგაზრდები, თეთრ მაისურზე ხუთი წრე რომ ჰქონდათ გამოსახული და მშვიდობის სიმბოლოებიანი გერბით სამტრედიელობას ამტკიცებდნენ. ის დღე ხომ ჩირაღდების ესტაფეტის ანტიკური ტრადიციის გამოძახილი იყო XXI საუკუნეში. იმერეთიდან უმასპინძლოა 2015 წლის 26 მაისს საბავშვოების უძველეს ქალაქ ათენში, პანათენაეოსის სტადიონზე საზვიადო ვითარებაში ანთებულ ოლიმპიურ ცეცხლს. დახვედრა მართლაც გრანდიოზული გამოუვიდათ. ერთი სიტყვით, 25 ივნისს სამტრედიელობდნენ სამტრედიელები.

2010 წლის 27 ნოემბერი ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში უდავოდ გამორჩეულ ადგილს დაიკავებს. ამ დღეს ბელგრადში ევროპის ოლიმპიური კომიტეტის რიგით 39-ე გენერალური ასამბლეა გაიმართა, რომელშიც კონტინენტის 49 ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად, ბუნებრივია, საქართველოც მონაწილეობდა. თბილისი თუ ჩეხეთის ქალაქი ბრნო? ასამბლეაზე ევროპის ოლიმპიურ ოჯახს უნდა მიეღო გადაწყვეტილება, ამ ორი კანდიდატიდან რომელი ქალაქისთვის მიენიჭებინა 2015 წლის ზაფხულის, რიგით მეცამეტე ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩატარების უფლება. ფარული კენჭისყრის შედეგად თბილისმა კონკურენტს ხუთი ხმით აჯობა, რაც ჩვენი ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში მართლაც ახალი ეტაპის დასაწყისს ნიშნავდა.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე მუნიციპალიტეტის შემდეგ, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის "თბილისი - 2015" მთავარ სიმბოლოს სამტრედიეა ელოდა. ხონიდან მომავალს ხუთჯერია დროშით ხელდამშვენებულნი მოუძღოდნენ ფაფარაყრილ ბედაურებზე ამხედრებული ცხენოსნები და სპორტული ფინით აღტიკნებულთ მქირადღნის მოახლოებას ამცნობდნენ. დიდ-პატარა მოუთმენლად ელოდა 145 წლიანი წარსულით თავმომწონე ქალაქში ჯერ არსახულ ფაქტს. თეთრად და წითლად ფრიალებდა ირგვლივ ყოველივე.

საპასუხისმგებლო იყო ის დღე ზაურ ჯანელიძისთვის, კალათბურთში საქართველოს თექვსმეტ წლამდელთა ოლიმპიური ნაკრების წევრს ესტაფეტა გადაეცა და სახელოვანმა სპორტსმენმა უკვე მქირადღნის სტატუსით აანთო ოლიმპიური ცეცხლი ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის წინ.

სახელდახელოდ მოწყობილ სცენასთან ბევრს მოეყარა თავი. ფეხბურთელებს, მოჭიდავეებს, ხელბურთელებსა და კალათბურთელებს ფრენბურთულ გოგონათა გუნდი "ჯიუ" უმშვენებდა გვერდს. მქუხარე ოვაცია გამოხატავდა იქ მყოფთა განწყობას, მომავლის საქართველოს საამაყო შეილებმა საპაერო ბურთები გაუშვეს თავისუფლების ნიშნად... შეკრებილებმა წუთიერი დუმილით თბილისში მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას მიაგეს პატივი.

"მუხედავად ქვეყანაში არსებული ვითარებისა, საქართველო ღირსეულად ჩაება ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფერხულში. დაუძღურებული დედაქალაქი ძალებს იკრებს და "თბილისი - 2015"-ის ფარგლებში დაგეგმილ ყველა აქტივობას სათანადოდ მასპინძლობს. ჩვენი მუნიციპალიტეტი ოლიმპიურ ფესტივალში 6 წარმატებული სპორტსმენითაა წარმოდგენილი. ესენი არიან ფრენბურთელები: გურანდა კვერნაძე, შხია ვაშაკიძე; კალათბურთელები: ზაურ ჯანელიძე, ვიქტორია გეგეშიძე და ხელბურთელები: გიორგი ბოცვაძე, გიორგი ანტონოვი-



ჩი. თითოეული მათგანი მეტად წარმატებული სპორტსმენია, მათი მიღწევებით ამყოფს სამტრედიე და სრულიად საქართველო!" - ამ სიტყვებით მიმართა საზოგადოებას წამყვანმა ირაკლი კვერხელიძემ და ოლიმპიური ცეცხლის ისტორიული ტრადიციის მიმოხილვის შემდეგ მიეროფონთან სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი ვალერიანე ფოცხვერია იხმო.

"უზომოდ ამაყი ვარ დღევანდელი დღით. ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისში ჩატარება პასუხისმგებლობასთან ერთად დიდი ნდობაცაა საქართველოს მიმართ. დღევანდელი დღე უმნიშვნელოვანესი მოვლენაა სამტრედიის ისტორიაში. ჩვენ ყველანიარად შევეცადეთ შესაძლებლობების მაქსიმუმის გაკეთებას, რამდენად გამოგვივიდა, ეს სტუმართა შესაფასებელია. სამტრედიე ერთ-ერთია იმ 67 მუნიციპალიტეტს შორის, რომელიც ოლიმპიურმა ცეცხლმა უნდა მოიაროს. ვიმედოვნებთ, იგი გამორჩეული იქნება თავისი დახვედრითა და სპორტული სანახაობების მრავალფეროვნებით." - აღნიშნა მან.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონი ნუგზარ ჯამბურაის თქმით: - პირველ რიგში, ეს დღე ახალგაზრდობისთვის, მომავალი თაობისთვისაა დიდი სტიმულის მიმცემი, თაობისთვის, რომელმაც თავისი ცხოვრების გზად სპორტული მიღწევების მოპოვება აირჩია. მადლობას ვუხდით იმ ადამიანებს, ვინც წლების მანძილზე დაუდალავად შრომობდა ქართული სპორტის აღორძინებისათვის. წარმატებებს ვუსურვებ ქართველ სპორტსმენებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში. დაე, მათი წინსვლა საწყისი ყოფილიყოს მსოფლიო მასშტაბის გამარჯვებებისა!"

სამტრედიეში ოლიმპიური ცეცხლის შემოტანის ცერემონიალს სახელოვანი სპორტსმენებიც ესწრებოდნენ. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში გოგონათა შორის ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, მოჭადრაკე მერი არაბიძე, საბჭოთა კავშირის მრავალგზის პრინციპი, ფეხბურთელი დავით გოგია, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენოსანი, ხელბურთელი ამბერჯი ტაბიძე გარს შემორტყმოდნენ ოლიმპიურ ცეცხლს.

კარატისტა მიერ მოწყობილი საჩვენებელი ორთაბრძოლა, "სტრიტ-ბოლი", ბლიცური ჭადრაკში მერი არაბიძესთან... ეს იმ ოლიმპიური სახის თამაშების არასრული ჩამონათვალია, 25 ივნისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურ-



რის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ ორგანიზებული სპორტული ღონისძიების ნაწილს რომ წარმოადგენდა და ქალაქის ცენტრში თავმოყრილთა ინტერესს იმსახურებდა.

ლითონის ფიალაზე ცეცხლის ენებად ბრიალებდა დაგროვილი ემოცია. სამტრედიის შემდეგ ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გადაეცა.



ლექსან ბაგრაჩიანი

ნმა ანკეროსიძეები შემსკავსებური

ლაშქარად გაფორმებული ბარათით მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორული განყოფილება საანგარიშო შემოქმედებით კონცერტზე გვეპატივებოდა. მისი უდიდებულესობა ქართული სიმღერა, ქართული ცეკვა, ეროვნული ფოლკლორი შეიმობადა ამ დღეს.

საუცხოოდ ლაშქარები იყვნენ ჩინოსანი "მატარა რაინდები", ოქრომკერდით ნაქარგი კაბიანი "ციცქნა ქალბატონები". ფანდურს, ჩონგურს ხელი ჩამოჭერეს, სალაშქროდ აჯიყუნდა და გაჭედილ დარბაზს საამოდ მოეფინა სარიტუალო სიმღერა "ლაშქარის", "კახური შაირების", "მეგრული სიმღერების პოპურის", "აჭარული" ნმატკბილი მელოდია.

26 ივნისს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორის განყოფილე-

ბა, ანსამბლები: "ჩანგი", "ალილო", "დილილმე" საანგარიშო-შემაჯავებელი კონცერტით აბარებდნენ ერთწლიან შემოქმედებით ანგარიშს გემოვნებიან მსმენელს, რომელთა შორისაც იყვნენ ანსამბლების წევრთა მშობლები, და-ძმები, დეკანოზი რომანოზი (ნინუა), მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლიზა კრავიშვილი, გამგეობის კულტურის განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ბადრი შენგელია და სხვები.

საანგარიშო კონცერტს ერთგვარად შემეცნებითი ხასიათიც ჰქონდა, სალამურის, ჩონგურის ისტორიაზეც ისაუბრ-



ეს იმ დღეს, თქვეს, რომ ეს ორი ინსტრუმენტი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყო ცნობილი ქართველი კაცისათვის. საქართველოს ყველა კუთხე-კუნძული იმ დღეს ცეკვით, სიმღერით, შაირებით მოიარეს კონცერტის მონაწილეებმა და ცხოველი ოვაციაც დაიმსახურეს.

განსაკუთრებით ორიგინალური იყო სალამოს ფინალი, როცა ივნისში დაბადებულ გოგო-ბიჭებს, რომლებიც ანსამბლების წევრები არიან და 26 ივნისის იუბილარს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექციის სახელით ქალბატონმა მადონა კობრიძემ ფასიანი საჩუქრები გადასცა, ეს თვე განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ანსამბლებისთვის, კომპენტენტური ფორის გადაწყვეტილებით ანსამბლები პირველი და მეორე ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდა. ადნიშნა ქალბატონმა მადონამ და თანადგომისათვის მადლობა მოახსენა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორს, ქალბატონ ტატი გოგუაძეს, პედაგოგებს, ქალბატონ მერი ტ-



შვიდნედი აღება

ნინო ნანოსაძე


თითქმის 10 წელია, დომენტი შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლაში არ ყოფილა მე-7 კლასი და დამამთავრებელი გამოსაშვები საღამო არ შემდგარა.

2 ივნისს სამუსიკო სკოლის დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას სცენიდან წამყვანმა ხათუნა გოგიაძემ გულშემაწვლად სიტყვებით მიმართა და ღვაწლმოსილი პედაგოგის, ჩვენი ქალაქის მამინდელი კოლორიტის, ოთარ შანიძის დამსახურება გაიხსენა: "გამოსაშვები საღამოების გამართვის ტრადიცია მივიწყებას მიეცა. ბატონი ოთარ შანიძე, ვერ წარმოიდგენი, როგორი სიყვარულითა და სითბოთი ეფერებოდა ყველა ბავშვს, სიხარულით სავეცრემლიანი თვალებით როგორ ცდილობდა ეს მართლაც მშვენიერი საღამო ყოველთვის დაუვიწყარი გამხდარიყო მათ ცხოვრებაში".

გავიდა წლები. სახელოვნებო სკოლის ამჟამინდელი დირექტორის, ირ-

მა შანიძის უდიდესი ძალისხმევითა და ადგილობრივი ხელისუფლების, კერძოდ, კულტურის სამსახურის აქტიური მხარდაჭერით ისევ ჰყავდათ მე-7 კლასი, რომელმაც თავის გამოსაშვებ საღამოზე დაამტკიცა, რომ ისინი წარმატებულები არიან, აპირებენ ფართო ასპარეზზე გასვლას. დავასწრებ მოვლენებს და ვიტყვი, მე-7 კლასელთაგან ერთი – მარიამ თევზაძე ჩარიცხულია ქუთაისის ხელოვნების უმაღლეს კოლეჯში, ხოლო სამი – მარიამ გრიგოლია, ნინო ღაღანიძე და მარიამ კვეტენაძე მედიტონ ბალანჩივასის სახელობის სამუსიკო თეთრმეტყლეძის აბარებენ გამოცდებს.

სახელოვნებო სკოლის მე-7 კლასში სულ 6 მოსწავლე ირიცხებოდა, მათგან ორი – რამაზ შენგელია და ლოვა ბოგდასარიანი ვოკალური განხრით კურსდამთავრებულები არიან. მათ პროფესიულად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით პედაგოგებს ნანი ჟორჟოლიანს, რამაზ კუბლაშვილსა და მაყვალა სანიციძეს.



გამოსაშვებ საღამოს ძირითადად კონცერტის ფორმატს ჰქონდა. სალამოს წამყვანი, ხათუნა გოგიაძე დარბაზს ყველა მონაწილის შესახებ მცირე ინფორმაციას აწვდიდა, ამის შემდეგ კი კონკრეტული კურსდამთ-

ვრებული საპროგრამო ნაწარმოებებს ასრულებდა. კონცერტზე გაიჟღერა ბახის, ბეთოვენის, შუბერტის, ბიძინა კვერნაძის, რეზო ლალიძის სხვადასხვა სტილისა და ეპოქის კომპოზიტორთა ნაწარმოებებმა. კურსდამთავრებულებს სახელოვნებო სკოლის დამთავრება მიულოცეს და გზა დაულოცეს ამავე სკოლის მოსწავლეებმა მარიამ ღაღანიძემ, შოთა კვეტენაძემ და მარიამ თევზაძემ. გამოსაშვებ საღამომ უდიდესი მოწონება დაიმსახურა დარბაზისა, რომელიც გულშემატკივრებს ვერ იტყვია. განსაკუთრებით ამაყები სახელოვნებო სკოლის პედაგოგები იყვნენ, რომლებმაც 7 წლიანი მუშაობის საუკეთესო შედეგი მიიღეს. იყო უამრავი ყვავილი, მხურვალე აპლოდისმენტები, სიხარულისა და ბედნიერების ცრემლი. შეიძლება აღდგენის ფაქტს ლიზა კრავიშვილი, მუნი-

ციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ასე იხსენებს: "ახალი მოსულები ვიყავით ხელისუფლებაში, როცა ჩვენთან მოვიდა სახელოვნებო სკოლის დირექტორი ირმა შანიძე და გაგვაცნო პროგრამა, რომელიც უკავშირდებოდა სწავლის 1 წლით განაგრძობას, ე. ი. ნაცვლად 6-ისა, სახელოვნებო სკოლაში სწავლა 7 წლიანი გამხდარიყო. ამ ფაქტმა გაგვაკვირვა, რადგან ჩვენთვის უცნობი იყო, რომ სამუსიკო სკოლაში 7-წლადი აღარ არსებობდა, მივხვდი, აღდგენას ხელისუფლების მხრიდან კეთილი ნება და თანხა სჭირდებოდა. იმთავითვე ჩავაყენე გამგებელი საქმის კურსში, რომელმაც გაითვალისწინა ჩემი მოსაზრება, დაავალა შესაბამის სამსახურს საკრებულოზე გაეტანა საკითხი. მოძიებული იქნა ფინანსები. ვთვლი, რომ ამით კეთილშობილური საქმე გაკეთდა. ამაში დღევანდელმა კონცერტმა დამარწმუნა. დღეს მე სახალხოდ ვუხედი მადლობას ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ საქმეში, რათა ეს მარგალიტები არ გაბნეულიყო სამტრედიდან".

აცეხიდნენ ხლიდებები და...

კიდევ ერთხელ აღაფრთოვანეს დარბაზი 18 ივნისს გალა კონცერტზე დომენტი შანიძის სახელობის სახელოვნებო სკოლის მოსწავლეებმა.

დიდი ხანია, ტრადიციად დამკვიდრდა, სასწავლო წლის ბოლოს ქუთაისის სიმფონიური ორკესტრისა და ამ სკოლის მოსწავლეთა ერთობლივი კონცერტის ჩატარება.

ივნისის იმ ერთ ცხელ დღესაც ორკესტრი სრული შემადგენლობით ჩამოვიდა სამტრედიში. გალა კონცერტის მონაწილეებს მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელოვნება დარბაზმა უმასპინძლა.

დასაწყისში წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი თბილისში დატრიალებული ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნას.

დირიჟორმა, ბატონმა რევაზ ჯავახიშვილმა კუთვნილი ადგილი დაიკავა და...

კონცერტი დაიწყო: მერაბიშვილის, ლომდარიძის, ფარცხალაძის, ბახის, პოლუნიჩის, ფოგლერის, სილვანსის... სხვა ქართველი და საზღვარგარეთელი ცნობილი კომპოზიტორების რთული მუსიკალური ნაწარმოებები ბრწყინვალედ შეასრულეს სახელოვნებო სკოლის მოსწავლეებმა: ქეთევან ზარიაშვილმა, დემეტრე ნიკურაძემ, გიორგი სტურუამ, მარიამ ღაღანიძემ, მარიამ ბუაძემ, ელენე ესებუამ, ნინო ჩაჩუამ, თამთა ჩალიგაძემ, ბექა ხუჭუამ, ქეთევან ბარდაყვამ, ვალერი მარტინოვმა, თამთა თევზაძემ.

სიახლეს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამ სკოლის დირექტორია (დირექტორი ირმა შანიძე) და პედაგოგები: ნ. გაბრიაძე, რ. კუბლაშვილი, გ. ბარათელი, ს. ანობაძე, ლ. ახალკაცი, ლ. მელქაძე, თ. შურღაია, ნ. ჟორჟოლიანი და სხვები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ



სკოლის მოსწავლეებს სათანადო პირობები შეუქმნან. ამაზე მეტყველებს ის, რომ სკოლის სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს ხშირად გაუმარჯვნიათ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში გამართულ კონკურსებში, რაზედაც მათ სახელზე გაცემული დიპლომები, სიგელები მეტყველებენ.

ერთი სიტყვით, 18 ივნისს ხელოვნათა დარბაზში კვლავ აცეკვდნენ კლავიშები და...

ლაშქარს საღამოც შედგა.





ეს არის, რაც გამოგვივიდა

27 ივნისს სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სცენაზე ანსამბლ "იმერის" აღსაზრდელები იდგნენ. შემაჯამებელი კონცერტით კიდევ ერთხელ გაგვაოცეს ტრადიციულ ქართულ და თანამედროვე, ფერად-ფერად სამოსში გამოწყობილმა ახალგაზრდებმა...

ქორეოგრაფ სოსო შენგელიას დაუღალავი შრომით მიღწეული წარმატება ბევრი გვახსოვს, უეჭველია, სამომავლოდაც ასე იქნება. ამაგს ყოველთვის უფასებენ გაცილებით მასწავლებელს აღზრდილები, ისინი შემდეგ საკუთარი მოსწავლეებით რომ წარსდგებიან ფართო საზოგადოების, გემოვნებიანი მაყურებლის წინაშე და ქართული ცეკვის სილამაზეს, უბერებლობას გვაზიარებენ.

ძველი თბილისის გრიშაშვილისეული პეიზაჟი, კინტოები, თეთრი კაბები და თითქოს მოდიდან გადასული, მაგრამ მაინც ეროვნული, ქართველი ქალის სანამუსე მანდილი და ჩიხტიფოპია... "სამაიად", "განდაგანად", "კინტოურად"... დაიდგარა სცენა.

ცეცხლოვანმა "მთიულურმა", შავფაფანინი ვაჟკაცების ხმალთა ნაპერწკლოვანმა კვესამ უმაღლესი დარბაზი. "სხვაგვარს არც ველოდითო", - გაისმოდა აქა-იქ და მხოლოდ ამ სიტყვებისთვის დიდდა ამდენი შრომა.

ღანა და მარი შენგელიები, თემურ თევზაძე ის ადამიანები გახლდნენ, ლომის წილი რომ მიუძღვოდათ საღამოს მაღალპროფესიულ დონეზე მოწყობაში და ერთ დროს მათაც სოსო შენგელიას მოსწავლეები ერქვათ.

"დაისი" - ცეკვათა ცეკვა, ივერთა ხასიათისთვის ყველაზე ახლობელი კომპოზიცია. ტრფობა, ქალის პატივისცემა, კდემამოსილება, ვაჟკაცობა, ყველაფერია თავმოყრილი ამ დაუვიწყარ, განუმეორებელ მოძრაობებში. ილიკო სუნიშვილისა და ნინო რამიშვილის სამშობლოში, რთულია, ვინმე ქორეოგრაფიით გააკვიროვო, მაგრამ ზოგჯერ ასეც ხდება. ოვაციები უცხო არ იყო მათთვის, მთელი წლის ნაშრომს უქებდნენ სიცოცხლით სავსე გოგო-ბიჭებს, უქებდნენ იმ მონდომებასაც ემოციებად რომ დასთამაშებდათ სახეზე.



"ეს არის, რაც გამოგვივიდა, ბოლომდე დავიხარჯეთ ქორეოგრაფებიც და მშობლებიც. მაღლობა ყველას გვერდში დგომისთვის, სწორედ თქვენი თანადგომაა, გამბედაობის მომცემი გააკეთოთ უფრო მეტი!" - განაცხადა ანსამბლ "იმერის" სამხატვრო ხელმძღვანელმა, ბატონმა სოსო შენგელიამ.

სამ ათეულწლიანი ისტორიის მქონე ქორეოგრაფიული ანსამბლის აქტიუში კიდევ ერთი წარმატებული დღე ჩაიწერა.

"იმერელები" მომავალ შეხვედრამდე დაგვემშვიდობნენ.

შოთა პაპავას



შოთა პაპავას!
 ზარი დედაქალაქიდან. მოგვასწერს? არა, უბრალოდ, მათაც ჩვენსავით იცოდნენ, რომ მათი უმცროსი მეგობარი, "სამტრედიის მაცნეს" მხატვარ-კარიკატურისტი შოთიკო პაპავა 30 ივნისს იუბილარია.

17 წლის გახდა ის. ბევრს მიაღწია, ბევრი გააოცა ელვარე ნიჭით, კიდევ მეტს მოველოთ მისგან... მომლოცველები? ცნობილი მეცნიერები, მსახიობები, პოეტები და ამჯერად მშობლიური "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია, ის ადამიანები, ყოველთვის ყველას რომ შეეჯიბრებიან შოთიკოს სიყვარულში.

17 წლის შესრულებას გილოცავთ ჩვენო შოთიკო, უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეს!
"სამბრალონის მაცნე"


ლადო ნიკოლეიშვილს!

დაბადების დღეს ულოცავს "სამტრედიის მაცნე" მის ერთგულ თანამშრომელს, ადამიანს, ვინც ძალიან უყვართ ამ განხეთქი. წარმატებებს და ოჯახურ ბედნიერებას უსურვებს მას. ჯანმრთელობა, სიხარული და ერთგულება არ მოაკლოს არსთა გამრიგებ კაცს, რომელიც აქ ეიმედებათ.

ირაკლი კიკვაძეს!


ძალიან ღამაზ, თვალნატურა ბიჭს, პატარა ირაკლის, დიდი სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს. სასახელო კაცი დამდგარიყოს მისგან ოჯახის, ქვეყნის და მშობლების, იმედად.

უანგარო სიყვარული დაბედებოდეს მის უღრუბლო ბავშვობას და ყმაწვილკაცობას. მერე კი ჭარმაგს საკუთარი განვლილი გზით ეამაყოს!
"სამბრალონის მაცნე"



ანასტასია მუზარიაშვილს!

ჩემო კუდრაჭა გოგო, ჩემო თვალისწინო, შენ გენაცვალოს შენი ბებო! გილოცავ დაბადების დღეს. გაიზარდე სასახელო ქართველი ქალი. იყავი ჯანმრთელი, ხალისიანი, სიხარულით სავსე შენს მშობლებთან ერთად. ღმერთი იყოს შენი მფარველი!
ნაილი ბებო



რედაქციის მისამართი:
 სამტრედიის რაიონული ქ. №6
 ტელ: 790 391839

სამბრალონის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
 მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაიშიძე
 გამომშვეები რედაქტორი თამაზ ბაბუნაშვილი
 პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბუნაშვილი
 კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპავას